# ხელშეკრულება №19

## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 2019წ.

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ქუთაისის №29 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ გველესიანის სახით და მეორეს მხრივ, მეორეს მხრივ შპს „ედესი ჯგუფი" ს/კ 203868635. (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ შარიქაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სკოლის საჭიროებისათვის ქაღალდისა და მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები (CPV22800000) საოფისე მოწყობილობები და საკანცელარიო ნივთები (CPV30100000) ხელნაკეთობები და ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალები (CPV37800000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ;

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 285 (ორასოთხმოცდახუთი) ლარი 80 თეთრი. მათ შორის:

CPV22800000 ------------------------------- 140 (ასორმოცი) ლარი და 10 თეთრი;

CPV30100000 ------------------------------- 110 (ასცხრა) ლარი და 76 თეთრი;

CPV37800000 ------------------------------- 34 (ოცდათოთხმეტი) ლარი და 94 თეთრი.

2.2.ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

### მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

### მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ.ქუთაისი სულხან-საბას №71ა. სსიპ ქ.ქუთაისის №29 საჯარო სკოლა).

### მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

### მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

**მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ ქალაქ ქუთაისის №29 საჯარო სკოლა. | შპს ,, ედესი ჯგუფი" |
| მის: ქ.ქუთაისი, სულხან საბას №71ა. | მის: ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის №9 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 212 809 022 | ტელ: 598 10 30 72 |
| ელ.ფოსტა: Kutaisi29@mes.gov.ge | ელ.ფოსტა: kutaisidekori@mail.ru |
| ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" | საიდენტიფიკაციო კოდი: 203868635 |
| ბანკის კოდი: UGEBGE22 | სს ,,პროკრედიტ ბანკი, საქართველო |
| ა/აGE65VT0500000029293408 | ბანკის კოდი: MIBGGE22 |
| დირექტორი: | ა/ა GE66PC0133600100062479 |
| ტარიელ გველესიანი | დირექტორი: |
| | თამაზ შარიქაძე |
| (ხელმოწერა) ბ.ა | (ხელმოწერა) ბ.ა |

Ltd Edesi Group

Digitally signed by Ltd Edesi Group
Date: 2019.08.22 12:37:25 +04'00'

ხელშეკრულების საგნის აღწერა                    დანართი N1

| # | საქონლის დასახელება | CPV კოდი | საქონლის ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საქონლის ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკანცელარიო წიგნი ს7 (დიდი) (40ფ) | 22810000 | ცალი | 5 | 0,80 | 4,00 |
| 2 | ჩასანიშნი წებადი 76*76 (400ფ) პასტელის ფერები | 22816300 | ცალი | 5 | 3,31 | 16,55 |
| 3 | ჩასანიშნი ქაღალდი 90*90 (500ფ) | 22816300 | ცალი | 5 | 2,03 | 10,15 |
| 4 | ბაინდერი განიერი A4 შავი DEKO | 22851000 | ცალი | 5 | 2,72 | 13,60 |
| 5 | ბაინდერი ვიწრო A4 ლურჯი DEKO | 22851000 | ცალი | 5 | 2,72 | 13,60 |
| 6 | სწრაფჩამკერი -TEX A4 შავი TEX-BK | 22850000 | ცალი | 20 | 0,24 | 4,80 |
| 7 | საქაღალდე სწრაფჩამკერი მუყაოსი | 22852000 | ცალი | 10 | 0,31 | 3,10 |
| 8 | საქაღალდე ბაბთიანი (მუყაო) | 22852000 | ცალი | 20 | 0,31 | 6,20 |
| 9 | საქაღალდე 40 ფაილიანი 4 ARK A1089 | 22852000 | ცალი | 10 | 2,13 | 21,30 |
| 10 | ფაილი პრიალა RD50 მიკრონი DEKO | 22852100 | შეკვრა | 8 | 5,85 | 46,80 |
| 11 | ბურთულიანი კალამი ლურჯი | 30192121 | ცალი | 20 | 0,13 | 2,60 |
| 12 | სტეპლერის ტყვია 24/6 | 30192700 | შეკვრა | 10 | 0,47 | 4,70 |
| 13 | დაფის მარკერი შავი DEKO | 30192125 | ცალი | 10 | 0,41 | 4,10 |
| 14 | დაფა მაგნიტური 60*90 (მეტალი) | 30192130 | ცალი | 1 | 23,05 | 23,05 |
| 15 | კორექტორი ფუნჯით 20 მლ. | 30192160 | ცალი | 5 | 0,72 | 3,60 |
| 16 | კორექტორი კალამი 8 მლ | 30192160 | ცალი | 5 | 0,69 | 3,45 |
| 17 | წებო მშრალი MEMORIS 15 გრ | 30192700 | ცალი | 18 | 0,34 | 6,12 |
| 18 | წებო თხევადი MEMORIS 30 გრ | 30192700 | ცალი | 10 | 0,29 | 2,90 |
| 19 | სკოჩი პატარა 0,15მმ*20 | 30192700 | ცალი | 20 | 0,17 | 3,40 |
| 20 | სკოჩი ფართე 0,45მმ*180 | 30192700 | ცალი | 5 | 3,69 | 18,45 |
| 21 | ვატმანი 200გრ 61*86 | 30194000 | ცალი | 5 | 0,80 | 4,00 |
| 22 | ჭიკარტი ლურსმანი ფერადი 50ც | 30197120 | შეკვრა | 10 | 0,56 | 5,60 |
| 23 | ჭიკარტი ბრტყელთავიანი ფერადი 100ც | 30197120 | შეკვრა | 20 | 0,74 | 14,80 |
| 24 | კონვერტი A4 240*320 (DOG) 110 გრ | 30199100 | ცალი | 50 | 0,18 | 9,00 |
| 25 | კონვერტი დიპლომატი 105*240 (DOG) 110 გრ | 30199100 | ცალი | 20 | 0,08 | 1,60 |
| 26 | მარკერი CD MEMORIS შავი | 30192125 | ცალი | 5 | 0,63 | 3,15 |
| 27 | კალამი ბურთულიანი MONTEX | 30192121 | ცალი | 1 | 0,24 | 0,24 |
| 28 | აკვარელი 12ფერი თაფლის DETSKAIA | 37820000 | ცალი | 4 | 2,9750 | 11,90 |
| 29 | საღებავი გუაში Juch klasika 6 ფერი | 37820000 | ცალი | 4 | 4,90 | 19.60 |
| 30 | კინეტიკური ფერადი ქვიშა (საშუალო) | 37820000 | ცალი | 1 | 3,44 | 3,44 |
| | სულ | | | | | 285,80 |

სულ: 285 (ორასოთხმოცდახუთი) ლარი და 80 თეთრი

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ ქუთაისის №29 საჯარო სკოლა
დირექტორი:
ტარიელ გველესიანი

მიმწოდებელი:

შპს ,, ედესი ჯგუფი"
დირექტორი:
თამაზ შარიქაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი 2019 წ

ვადასტურებთ, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის N29 საჯარო სკოლისათვის, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ CPV22800000, CPV30100000 და CPV37800000 კოდის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ჩვენი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N 29 საჯარო სკოლის

დირექტორი: /ტარიელ გველესიანი/

შპს „ ედესი ჯგუფი"

დირექტორი: /თამაზ შარიქაძე/